



N 21/3078
28/04/2023

3078-21-2-202304281218



შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ს

მის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაჭახლისპირი

ელ. ფოსტა: Giorgi.Nakashidze@acharenergy.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 12 აპრილის №3178 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 50 მგვტ სიმძლავრის „ზედა წევას“ ქარის ელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის 3.9 ქვეპუნქტი, თუმცა, სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად, გათვალისწინებულია 110 კვ ქვესადგურისა და 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სკოპინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი. ასევე, დაგეგმილი საქმიანობის დასახელება თანხვედრაში უნდა იყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ საქმიანობებთან;
- დაზუსტებას საჭიროებს ფუჭი ქანების სანაყაროს შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების დასაწყობებისათვის შერჩეულია 14000 მ² ფართობის ტერიტორია, თუმცა shp ფაილების მიხედვით, ფუჭი ქანების სანაყაროს ტერიტორიის ფართობია 2205 მ²;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს სარეაბილიტაციო და მოსაწყობი გზების პარამეტრების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია (სიგრძე, სიგანე და სხვ.) ამასთან, სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებში ცალკეულ ფენებად უნდა აისახოს მისასვლელი გზების მოსაწყობი და სარეაბილიტაციო მონაკვეთები;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის ტურბინების და ქვესადგურის ერთმანეთთან დაკავშირება მოხდება 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით. წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია აღნიშნული ეგხ-ის სიგრძის შესახებ, ასევე, ეგხ-ის დერეფანი უნდა აისახოს სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებში;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია საპროექტო ქვესადგურიდან, 110 კვ. ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზით დაუკავშირდება 500 კვ. ძაბვის ქვესადგურს „ხესტაფონი 500“-ს. წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საჰაერო ეგხ-ის შესახებ (ტექნიკური მახასიათებლები, დაცვის ზონები, ეგხ-ის დერეფნის სქემატური ნახაზები, shp ფაილები და სხვ). იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს აღნიშნული ეგხ-ის გაყვანას, სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული დამოუკიდებელი პროექტით ეგხ-ის გაყვანის გადაწყვეტილება;
- 5.5.3.4 თავში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს უზუსტობებს, შინაარსობრივად გაუმართავია და არ იძლევა სათანადო ანალიზის საშუალებას;
- სკოპინგის ანგარიში მოიცავს ტექნიკურ ხარვეზებს, კერძოდ: მე-8 გვერდზე წარმოდგენილი GPS კოორდინატები საჭიროებს დაზუსტებას; 2.2.1 სურათზე ქვესადგურის განლაგების ტერიტორია არ ემთხვევა shp ფაილებს და საჭიროებს დაზუსტებას; მიწისქვეშა ეგხ-ის ტრანშეის სიღრმესთან დაკავშირებით, მითითებულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციები.

სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების/მოთხოვნების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, გთხოვთ, უზრუნველყოთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენა.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

